გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შაჰერდოვის სავაზთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი. საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. 1877—1886 წელიწადი.



ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“

на 1886 годъ (41 годъ изданія).

*Въ 1886 году газета «КАВКАЗЪ» будетъ выходить по прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.*

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

съ достакою въ тифлисѣ:

| | |
|---|---|
| На годъ | 11 р. 50 к. |
| » полгода | 6 р. — » |
| » 3 мѣсяца | 3 р. 50 к. |
| » 1 мѣсяцъ | 1 р. 50 к. |

съ пересылкою

| по имперіи | по почтовому союзу |
|---|---|
| 13 р. | 18 р. 40 к. |
| 7 р. | 10 р. — » |
| 4 р. | 6 р. — » |
| 1 р. 75 к. | 2 р. — » |

подписка припимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы, домъ Ротинова. Для иногор. адресовать: *Тифлисъ. Въ Редакцію газеты «КАВКАЗЪ».*


ტფილისი, 9 იანვარს.

გუშინდელ და დღევანდელს «ივერიის» ფელეტონში ორმა სულ სხვა-და-სხვა ავტორმა ერთი და იგივე საგანი დაგვიყენა თვალ-წინ განსარჩევად და განსაკითხად. უნდა ვსთქვათ, რომ ეგ საგანი მწვავე ტკივილია დღევანდელის დღისა, დღევანდელის დღის ვარამია. ორივე ავტორნი ერთნაირის გულწრფელობით, ერთნაირის გონება-დამჯდარობით, საგნის ღირსებისამებრ მართებულობით გველაპარაკებიან ჩვენის ლიტერატურის დღევანდელს ყოფაზედ; რიგიანის დაკვირვებით და დინჯად ჰსინჯავენ ამ ყოფას საზოგადოების მიმართ და თვით საზოგადოებას ამ ყოფის მიმართ. ორივე თითქმის იმ აზრზედ ჰსდგანან, რომ ჩვენის ლიტერატურის დღევანდელი უღონობა იმაზეა დამოკიდებული, რომ ლიტერატურა ჩვენში ლუკმა-პურს არ იძლევინებაო და ამიტომ მწერლობა ჩვენში შემთხვევითია და არა დაჩემებული, გამოსაკუთრებული მოღვაწეობაო. ამ დადგინებას სიტყვა არ შეებრუნება. ვინ არ იცის, რომ ვინც ჩვენში ლუკმა-პურის შოვნის ზრუნვას დროს გადაარჩენს და მოიცლის, მარტო იგი იღებს ხელში კალამსა და ჰსწერს და ისიც მარტო მაშინ, როცა მოცლილია. ლიტერატურული მოღვაწეობა ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ დღემუდამ უკან დევნა უნდა, დღე-მუდამ მის სფერაში ტრიალი, დღემუდამ ფიქრსა და ტვინის-მოძრაობაში უნდა იყოს მისი მიმდევარი კაცი. ამისთანა გარემოება აიძულებს კაცს მთლად ამ მოღვაწეობაზედ იყოს გადაგებული, გადადებული და მაშინ იგი მოიქმედებს მას, რის შემძლეც არის თავისის ნიჭითა და მომზადებულობითა. დღევანდელი ჩვენი ყოფა-ცხოვრება ამის ნებას არ იძლევა. ამისთანა გარემოებას კიდევ სხვა ზარალიც მოაქვს. რადგანაც არავის არ ეგულება, რომ ლიტერატურული შრომა და ჯაფა ცხოვრების საღსარს მომცემსო, არც არავინ ჰბედავს ამ გვარის მოღვაწეობისათვის რიგიანად და საფუძვლიანად მოემზადოს. ქვეყნიერობაზედ არ არის ჩვენის ფიქრით სხვა იმისთანა საგანი და მოღვაწეობა, რომ ასეთი ხანგრძლივი და საფუძვლიანი მომზადება უნდოდეს წინადვე, როგორც ლიტერატურა და ლიტერატორობაა. ცარიელი, მოუმზადებელი, უწურთვნელი ნიჭი არ-გადახალისებული მადანია და ამიტომაც ბევრს ვერას შეჰსძლებს ლიტერატურის სარბიელზედ.

ჩვენ ყოველივე ეს სამართლიანს საბუთს გვაძლევს, რომ პატივცემულთ ავტორებს განვუზიაროთ აზრი შესახებ იმა უმთავრესის მიზეზისა, რომლის მეოხებითაც ჩვენ არც თავ-გადადებული მუშაკი გვყავს ლიტერატურისათვის და არც საკმაოდ ამისათვის მომზადებული. აქ გასამტყუნარი არავინ არ არის, გარდა გარემოებისა.

ყველამ ვიცით, რომ ლიტერატურას ასაზდოებს საზოგადოება. ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენს ლიტეუატურას დღე-და-დღე საზოგადოება აკლდება. დღეს თუ ჩვენს ლიტერატურას მკითხველი და გულ-შემატკივარი ჰყავს, ერთი ეგრედ-წოდებული ინტელიგენციაა, რომელსაც თვითონაც არა აქვს საზრდო ცხოვრებისა, და მეორე—ძველნი ქართველნი, კაცნი თუ ქალნი. ყოველი კი ახლად მომავალი, ნამეტნავად ქალები, ჰთაკილობენ ქართულს ლიტერატურას და იგვებებიან იმ წვრილად ფშხვნილ ნამცეცებითა, რომელიც აქაურს წვრილმან გაზეთებს ყოველ-დღე ტომრებით მოაქვთ. თუმცა ეს ასეა დღეს, მაგრამ იმედია, რომ ქართული ლიტერატურა გავრცელდება ჩვენში და მაშინ ჩვენი ეგრედწოდებული მაღალის წოდების ხალხი, თუნდა სრულად დაეთხოვოს კიდეც ჩვენს ლიტერატურას, დიდი არაფრისაა. საქმე ის არის, ჩვენი ერი მომზადდეს, გონების გახსნის გზაზედ იმოდენად წარიმართოს, რომ როგორც პურის საჭიროებას ჰგრძნობს ხორცისათვის, ისეც ლიტერატურა მიიჩნიოს სულისა და გულისათვის. თუ, ღვთის მადლით, ჩვენი სასოფლო სკოლები და ერთობ ის სასწავლებელნი, რომელთაც კარი მუდამ და დაუბრკოლებლივ ღია აქვთ ყველასათვის, რიგიანად მოიმართნენ და თავის უწმინდაესს დანიშნულებას გვერდი არ აუქციეს, უეჭველია გამრავლდება როგორც მუშაკი ლიტერატურისა, ისეც მუშტარი და მაშინ ლიტერატურა და საზოგადოება უკედ მოეწყობა, უკედ მორიგდება და მოთავსდება ერთმანეთში.

ამ იმედით აღფრთოვანებული და გატაცებული იბრძვის და იღვწის დღეს მშიერ-მწყურვალი უანგარო მუშაკი დღევანდელის ჩვენის ლიტერატურისა. ეს, მართალია, თავ-განწირვაა, სხვერპლია, და თუმცა ამ სხვერპლს ქართველთა დღევანდელი უმადურება აორკეცებს და წამებათ ჰხდის, მით უფრო უმშვენიერესია ის ბრწყინვალე სახსოვარი, რომელიც აღიმართება ძეგლად მერმისის გულში.

## დეპეშა

იანვრის 8.

«მმართებლობის მოამბე» გვაუწყებს, რომ ნათლისღებოს პარადზე ხელმწიფე იმპერატორის წინაშე წარსდგნენ ბოლგარიის ჯარში მყოფნი რუსის აფიცრები. ხელმწიფე იმპერატორმა ინება და გამოჰკითხა თითოეულს მათგანს ბოლგარიაში სამსახურის ამბავი და შემდეგ ყოვლად მოწყალედ მადლობა გადუხადა ბოლგარიაში სამაგალითო სამსახურისათვის.

საბერძნეთისა და სერბიის მიერ უარის თქმის გამო თოფ-იარაღის აყრის შესახებ «*Journal de st. Petersbourg*» ამბობს, რომ სახელმწიფონი გაორკეცებულის მალით მოითხოვენ თავიანთის სურვილის შესრულებასაო. ეს საჭიროა, როგორც, იმიტომ რომ ღირსება ევროპისა დაცულ იქმნას, ისე იმიტომ რომ აცილებულ იქმნას უფრო დიდი უბედურებანიო. ამიტომ სერბია, საბერძნეთი და ბოლგარია უნდა დაემორჩილონ გარემოებასა და აიყარონ თოფ-იარაღი იმ პირობით, რა პირობითაც ევროპამ მოითხოვაო.

კიევი. სამის დღის წინად ოხტერის მაზრაში თავი მოიკლა გამოჩენილმა პოლშელმა მწერალმა, ოსმალეთის სამხედრო მოღვაწედ ნამყოფმა სადიხ-ფაშამ—78 წლის კაცმა, გვარად ჩაიკოვსკიმ.

მერუჩაქი. თანაბარი ამინდი დადგა. გამიჯვნის საქმე კვლავ სწარმოებს.

ახალ-წელიწადს დღეს რუსეთის ბანკში მოვიდა მოსალოცავად პენ-

## ფელეტონი

### რა მოეთხოვება ქართულს ლიტერატურას?

ყველა საგანს აქვს თავისი საკუთარი ისტორია, რომელშიაც იხატება სრული მისი ცხოვრება, დაწყობილი დაბადებიდამ ვიდრე სიკვდილამდის. რომ ავილოთ ეს ცხოვრება და გავსინჯოთ, ადვილად მივხვდებით, რომ იგი ყოველ ჟამს, ყოველ წუთს ემორჩილება ზოგიერთა აუცილებელ კანონებს, რომელთაც ბუნებითს კანონებს უწოდებენ.

ყოველი მცენარე თავ-და-პირველად წარმოადგენს პაწაწინა მარცვალს, რომელსაც თესლი ჰქვიან. თესლი მცენარეს არ მოგვცემს, თუ იგი მიწაში არ ჩავფალით. მიწა მცენარეს არ მოგვცემს, თუ მას ნესტი და სითბო მოვაკელით. სითბო და ნესტი მცენარეს არ აღმოაცენენ, თუ იგინი განსაზღვრულის თვისებით არ იმოქმედებენ ნიადაგზედ. გარდა ამისა, ატამს რომ მოვსთხოვოთ დათესის პირველ წელიწადსვე ნაყოფი მოგვეციო, ამაო იქნება: აუცილებლად საჭიროა გაიაროს რამდენმამე წელმა, რომ ატმის ნაყოფი ვიხილოთ. ამ გვარად ატმის (ნაყოფის) ქვეყანაზედ დაბადებისათვის საჭიროა ნიადაგის და მისის განსაკუთრებითის თვისებების გარდა, თავ-და-პირველად თესლი, შემდეგ სითბო, სინოტივე და დრო. ნიადაგს, სითბოს, ნესტს და დროს ურთი-ერთ შორის დიდი შინაგანი კავშირი აქვთ. თუ დაირღვა ერთხელ ეს კავშირი,—ნურც ნაყოფს-ღა მოელით. ასე, ყველა მცენარის ცხოვრებაში, არსებობაში ჩვენ შევნიშნავთ რაიმე წესს, რიგს, ვადას, და საზოგადოდ იმ გარემოებასა, რომელსაც მცენარის არსებობა და კეთილ-დღეობა ემორჩილება.

მე ამითი სრულიადაც არა მგონია, რომ ამერიკა აღმოვაჩინე. ჩემგან დასახელებული გარემოებანი ისეთი სადა და მარტივნი არიან, რომ ყველამ უჩემოთაც კარგად იცის,—ისე კარგად, როგორადაც თავისი საკუთარი არსებობა. აბა სამწუხაროც ის არის, რომ ეს მარტივი გარემოებანი ზოგიერთებს სრულიად ავიწყდებათ, როდესაც სჯიან ქართულ ლიტერატურაზედ!

რა არის ქართული ლიტერატურა? რის მაქნისია, ან რა ძევს შიგ? ნუ თუ ორი-სამი წიგნაკი ლიტერატურად მიგაჩნიათ?! ნუ თუ ქართულ ლიტერატურაში გონების განსავითარებლად სამყოფი საზრდო მოიპოვება, რომ ღირდეს კაცმა მასზედ დრო დაჰკარგოს? ის არა სჯობია, ვავარჯიშო ჩემი გონება იმ ლიტერატურაზედ, საიდამაც უფრო მომეტებულს ნაყოფს მოველი?... მაშ რაღა საჭიროა ქართული ლიტერატურა, რომელიც თითქმის არც კი არსებობს?..

ასე გაიძახიან ჩვენში ზოგიერთნი პირნი და თანაც ჰგონიათ, უმანკო ჭეშმარიტებას ვამბობთო. ჩვენის აზრით კი, ამ გვარი მსჯელობა ქართულს ლიტერატურაზედ არამც თუ ჭეშმარიტება არ არის, არამედ დიდი შეცდომა და, თუ გინდათ, უსამართლობაა. ეს მსჯელობა წარმოსდგება ორის გზით: ან ეს ვაჟ-ბატონები განგებ იხვევენ თვალებს და ჰსურთ სხვასაც აუბან, ან არა და არ ესმით ის, რომ ყოველი მსჯელობა უსათუოდ დაფუძნებული უნდა იყოს შესაფერს ნიადაგზედ, შესაფერ საბუთებზედ.

ვსთქვათ, ქართულ ლიტერატურას შეადგენს ორიოდე წიგნაკი და არა ბევრი. ვითომ რა არის აქ საკვირველი? ჯერ თქვენ მომიგეთ პასუხი შემდეგზედ: თვითონ ქართველები ბევრნი არიან? დიდი ხანია, რაც ქართულ ლიტერატურამ (ახალმა) არსებობა დაიწყო? არიან თვით ქართველნი მწერალნი და მკითხველნი ისტორიულის მხრივ იმ გარემოებით მოცულნი, რომ მათ შეეძლოთ სულითა და ხორცით მიეცნენ ქართულ ლიტერატურას, მის სწავლა-კითხვას? ყოველს ამას «არა» ეთქმის და არაფერი.

როგორც ზემოთა ვსთქვით, ქართველები საზოგადოდ ცოტანი არიან; პატარა ერს ლიტერატურის წარმომადგენელნიც, რასაკვირველია, ცოტა უნდა ჰყვანდეს; ცოტა მუშაკთ ნაშრომიც ნაკლებად მოეთხოვებათ. რას როშავო, მეტყვიან: როდესაც მე ჩვენის ლიტერატურის სიღარიბეს თვითონ ჩვენს სიცოტავეს ვაწერ, მე მაქვს მხედველობაში მხოლოდ აწმყო დროება და უფრო მეტად გარემოებანი; მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეს ქართველები რიცხვით ოცი იმდონი ვიყოთ, რაც ეხლა ვართ, ლიტერატურაც მაშინ დღევანდელზედ მეტი გვექნებოდა; რასაკვირველია, ოცჯერ მეტი კი არა, მაგრამ ორჯერ-სამჯერ კი შეიძლებოდა.

თუნდა რიცხვით ისევ ეს ვყოფილიყავით, ლიტერატურა ორჯელ-სამჯერ კი არა, შეიძლება ოცჯერაც მეტი გვქონოდა. ამ უკანასკნელის აზრის ვრცლად განმარტება საძნელო არ არის ჩვენთვის, მაგრამ ეხლა საჭიროდ არა ვხედამთ. ქართულის ლიტერატურის დღევანდელი სიღარიბე აიხსნება აგრეთვე იმითა, რომ მან ფეხი აიდგა მხოლოდ ამ ოცი, ოც-დაათის წლის წინად. ნუ თუ ამ ერთ მუჭა ხალხს, განსაკუთრებულ გარემოებაში ჩამდგარს, ასეთ მოკლე ხნის განმავლობაში მოეთხოვება იმაზედ

ჯენას ხანი ხარიყების მამასხლიხებითურთ.

სოფია. ბოლგარიის მმართებლობა მადლობას უცხადებს რუსეთს იმ მზრუნველობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ბალკანიის სახელმწიფოებისა და ბოლგარიის სასარგებლოდ. ამასთანავე ამბობს, რომ მზად არის იარაღი დაჰყაროს მაშინვე, როგორც კი სერბია, რომელიც უფრო და უფრო იმუქრება, ფორმალურად სიტყვას მისცემს სახელმწიფოებს და იარაღის დაყრას შეუდგება.

ზავის ჩამოსაგდებად მოლაპარაკების დროს ბოლგარიის წარმომადგენლად იქმნება მეჯიდ-ფაშა და გეშავი.

იანვრის 9.

ფილიპოპოლი. გადბან-ეფენდიმ სთქვა, რომ მე წინააღმდეგი არა ვარ აღმოსავლეთის რუმელიისა და ბოლგარიის ეროვნებულ გაერთებისა, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ორივე ნაწილი უცხო და გარეშე გავლენას არ ექვემდებარებოდესო და ამ მხრით საფიქრებელი არა გაუხდეს-რა ოსმალეთსაო.

# ახალი ამბავი

*** ერთს პეტერბურგის გაზეთში სწერია, რომ ხელმწიფე იმპერატორს, საერო განათლების მინისტრის მოხსენებისამებრ, უბრძანებია, რომ ტფილისის წმინდა ნინოს სასწავლებელში კარგად მოსწავლენი დასაჩუქრებულ იქმნან ხოლმე, მენდლების მაგიერ, ოქროსა და ვერცხლის ჯვრებით.

*** «ნოვოე ობოზრენიე» ამბობს, რომ პოდპორუჩიკის მეფისოვის და შენინგის საქმე, რომელთაც ჰბრალდებათ სახაზინო ფულის დაჩემება, ჯერ არ გათავებულაო. როგორც ვიცით, აქაურმა სამხედრო სასამართლომ მათ ციმბირი გადუწყვიტა, მაგრამ ახლა სამხედრო მთავარ-სასამართლოს უარ-უყვია ეს განჩინება და საქმე ხელ-მეორედ დაუნიშნავს განსახილველად.

*** «კავკაზში» დაბეჭდილია შემდეგი საინტერესო ცნობანი ტფილისის სახელოსნო სასწავლებელზედ: სასწავლებელი დაარსდა ამ ხუთის წლის წინად, ე. ი. 1880 წელს. წარსულის წლის დეკემბერს პირველად დაუმთავრებია სწავლა შეგირდებს ამ სასწავლებელში, უსწავლიათ ხელობა და ქარგლობის ღირსება მიუღიათ. სულ სწავლა-დამთავრებულთა რიცხვი ყოფილა 16. ხუთი ამათგანი სტალარი და ხარატია, 11 სლესარი და მჭედელი.

პირველ წელიწადს ამ სასწავლებლის დაარსებისას 600 მსურველი ყოფილა სწავლისა, მაგრამ მხოლოდ 63 ყმაწვილი მიუღიათ. პირველი კლასი სამ განყოფილებისაგან შესდგებოდა: რუსული, რომელშიაც 18 მოსწავლე იყო, ქართული—22 მოსწავლე და სომხური—23.

სასწავლებლის ხუთის წლის არსებობის შემდეგ შეგირდების რიცხვი გვარ-ტომობის მიხედვით ასე განაწილებულა: სომხები იყვნენ 95, ქართველები 72, რუსები 70, თათრები 3, ებრაელი 1, პოლშელი 1 და სპარსი 1. სულ 243 შაგირდი.

ამ სასწავლებლისთვის სამ-სართულიანი სახლი აშენდა ქალაქის ვაჭრებისა და ხელოსნების მიერ შემოწირულის ფულით. ამ სახით შეგროვდა სულ 26000 მან., მაგრამ რადგან ეს საკმარისი არ იყო, ხელოსნებმა მუქთად იკისრეს მუშაობა შენობის დასამთავრებლად. თვით სასწავლებლის შენახვისა და წარმოებისათვის გადადებული იყო სარგებელი 75,000 მანათისა. ეს ფული ხაზინიდამ გადაეცა საქალაქო გამგეობას და დღეს 75,000 მაგიერ 100,000 მან. გახდა. მისი სარგებელი შეადგენს 5,000 მან., მაგრამ ეს არა ჰყოფნის სასწავლებელს და ქალაქი თავის შემოსავლიდამ ახარჯებს კიდევ ყოველ-წლივ. ამ ხუთის წლის განმავლობაში ქალაქს სულ 106,850 მ. დაუხარჯავს, იმის გარდა, რომ მან სასწავლებლის მოსაწყობად, სახელოსნოების გასამართად ერთხანად დახარჯა პირველშივე 45,524 მ. 9 კ.

სახელოსნო სასწავლებელში შეგირდებს უსასყიდლოდ ეძლევათ ყოველი სასწავლო წიგნი და ნივთი. ამას-გარდა სადილიც შიგ სასწავლებელში აქვთ. შეგირდები სულ ღარიბის ხალხის შვილები არიან. უკანასკნელს დროს სოფლებიდამაც ბევრი შესულა ამ სასწავლებელში.

# ნაკვესი

მეფე ერეკლეს დროს ქალაქში ერთი თავადიშვილი გარდაიცვალა, რომელმაც შემდეგი ანდერძი თურმე დაუგდო მეგობარს:

«ჩემი ყოფა-ცხოვრებიდგან რაც შენ გინდოდეს ჩემ შვილს მიეციო და დანარჩენი შენ გქონდესო».

ამ ანდერძის ძალით უმეტესი ნაწილი მამულისა მეგობარმა თვითონ დაიჭირა და მცირედი ნაწილი-ღა შვილს მისცა.

შვილმა იჩივლა სასამართლოში, მაგრამ გაამტყუვნეს. სასამართლოდამ იგი მეფესთან წავიდა საჩივლელად. მეფემან განიხილა ანდერძი, დაიბარა მეგობარი და უბძანა: ანდერძის ძალით რაც შენ გინდა, ე. ი. რაც შენ აირჩიე შენთვის, ის უნდა შვილს მისცე და დანარჩენი კი შენთვის უნდა დაიტოვოო.

«მამაო აბრაამ!» შეეძლო ეთქვა ამ მემკვიდრეს შილოკისამებრ.

— ბარძიმ ერისთავო, ეს შენი აზნაურ-შვილი, როგორი კაცია, თუ გიყვარდეო, ჰკითხა თავის სტუმარს ლევან დიდიანმა.

— კარგი დაგემართოს კარგი კაცი ის იყოს, მთავარო, მაგრამ საუბედუროდ ცოტას მოიაზარფეშებს,—იმას მიჰყვება, ვინც წელში აზარფეშას გაირჩობსო, უპასუხა ერისთავმა.

ლელო.

## მმართებლობის განკარგულებანი

უქაზისამებრ უმართებულესის სენატისა ჰეროლდიის დეპარტამენტის მიმართ, რომელიც დადგენილ იქმნა 15 ნოემბერს 1885 წ., დიდის ხნის სამსახურისთვის დაჯილდოვებულ იქმნენ გუბერნიის სეკრეტარის ხარისხით: ტელეგრაფისტები შემდეგის სტანციებისა: ტფილისის ცენტრალურის 1 წყებისა ეგორ ტერ-პეტროსოვი, მე-IV წყებისა—გევორქ აზიზიანცი, ბოთლიხის IV წყებისა—გალაქტიონ კასრაძე; კოლლეჟსკი-რეგისტრატორის ხარისხით: ტელეგრაფისტები მე-IV წყებისა; ართვინისა—ალექსი მანუჩაროვი, ახალციხისა იაკობ აზარპეტიანცი, ყარაქლისისა—პეტროს ტერ-პეტროსიანცი, სარაყამიშისა—კარაპეტ ალიხანოვი, და ცარსკი-კალოდცისა—კონსტანტინე მაჭავარიანი:

განწესებულ არიან: ტფილისის მოქალაქის შვილი გიორგი მურადოვი—უმცროს ზედამხედველათ პრიშიბის სტანციისა.

დათხოვნილ არიან: ტელეგრაფისტი მე-III წყებისა ბამის სტანციისა გუბერნსკი-სეკრეტარი პავლე გამრეკელოვი ტფილისს ორი თვით და ტელეგრაფისტი მე-IV წყებისა სიღნაღის სტანციისა არტემი შავერდოვი—ტფილისს, 14-ის დღით.

# დამაკვირდი!

ოდეს ბოროტი გამრავლდეს, კეთილი გაცუდდებისა:
მოაკლდეს კარგთა პატივი, ავები გადიდდებისა.

(მეფე ვახტანგ VI.)

***

გსურს შეიტყო, რა ხარ — შეხედე კაცთა და მათთა საქმეთა, გსურს შეიტყო, რანი არიან კაცნი — შენს საკუთარს გულში ჩაიხედე.

(შილლერი).

***

ამოირჩიე იმისთანა კაცი, რომლის მოქმედება ანუ სიტყვა მოგწონება, რომლის სახე გამომეტყველია შენდა მომართ თანა-მგრძნობის გულისა და თვალ-წინ იყოლიე მუდამ, როგორც შენი მფარველი, როგორც მაგალითი.

(სენეკა).

***

გეუბნები შენ: ჩვენთვის (ადამიანთათვის) საჭიროა იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის გაწვრთნა და გამტკიცება.

(სენეკა).

***

ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთვნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცა.

(სენეკა).

***

მუზავ, რა ვიქნებოდი მე უშენოდ, არ ვიცი. მე მხოლოდ გული მტკივა, რომ ვხედავ, რანიც არიან უშენოდ ასნი და ათასნი.

(შილლერი).

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

ერთ თვეზედ ცოტათი მეტია მას აქეთ, რაც ისპანიის მეფე ალფონსი გარდაიცვალა და მის მოადგილეთ დროებით აღრჩეულ იქმნა ქრისტინა, ქვრივი ალფონსისა. მადრიდელი კორრესპონდენტი «*Times*»-ისა ეგრეთ აღგვიწერს მეფისაგან ფიცის მიღებას.

«სამეფო *cortége*-ი გაემგზავრა სასახლიდამ დეპუტატთა პალატაში დღის ორ-საათზედ. ყოველი სახლი ქალაქში მორთული იყო ნაციონალურის დროშებით და ხალხსაც მეტი სიხარული ეტყობოდა, ვინემ უწინ, ალფონსის სიცოცხლის დროს. ქუჩის ორივე მხრით ჩამწკრივებული იყო ქვეითი ჯარი, ხოლო «*Puera del sol*'»-ის მოედანზედ იდგა ცხენოსანი.

ინფანტესები იზაბელლა და ეულიალია, და ამ უკანასკნელის საქმრო, ინფანტი დონ-ანტონიო ერთად შემოვიდნენ პალატაში და დაიჭირეს თავიანთი ადგილები, ტახტის მარცხენა მხრით. მერმე შემოვიდა თვით მეფე ქრისტინა და შემოიყვანა თან პრინცესა ასტურიისა, რომელსაც თავის მხრით ხელ-ჩაკიდებით მოჰყავდა თავისი პატარა და. როდესაც კოროლევა დაჯდა ტახტზე, იქ დამსწრე დეპუტატები და ხალხი მიეგება მას «*viva*»-ს ხანგრძლივის ძახილით.

პალატის პრეზიდენტი სინიორი ანტონიო კანოვასი მიუახლოვდა მაშინ ტახტს და მოახსენა მეფეს: «სენიორა! გსურსთ, თქვენო დიდებულებავ, მიიღოთ კორტესების წინაშე იმ გვარივე ფიცი, რომელიც თქვენ, კონსტიტუციის 69 მუხლის ძალით, უკვე მიიღეთ მინისტრთა წინაშე? კოროლევა ქრისტინა წამოდგა ტახტიდამ და ბრძანა:

«ვფიცავ ღმერთს და ყველა წმინდანებს, ვიყო ერთგული ტახტის მემკვიდრისა მის მცირე-წლოვანებაში და ყოველ საქმეში წინ ვიქონიო კანონი. თუ გადვუდგე ამ ფიცს, დასჯილ ვიყო ღვთისაგან.

ამის შემდეგ პრეზიდენტი მიუბრუნდა პალატას და ჰსთქვა:

«კორტესები მოწმობენ, რომ გაიგონეს ფიცის წარმოთქმა მისის უდიდებულესობისაგან, რომელიც ერთგული უნდა იყოს როგორც ტახტის კანონიერის მემკვიდრისა, ისე კონსტიტუციისა.

მთელი ცერემონია გაგრძელდა თურმე მხოლოდ 12 მინუტს.

---

მეტი ლიტერატურა, რაც მას შეუძენია? ეს უსამართლობა იქმნება. თუ კი ჩვენში იყო ცოტაოდენი მოთხოვნილება მაინც, გვქონდა იმოდენი ნიჭი, მეტყვიან ზოგიერთა ვაჟ-ბატონები, რად აიდგა ფეხი ჩვენმა ლიტერატურამ მხოლოდ ოცის წლის წინად და არა ასი-ორასისა, როდესაც გარემოება სულ სხვა იყო? ჰკითხეთ თვით ისტორიას და იგი გეტყვით მაგის პასუხს. თუ შეიძლება, რომ ერთ-ადგილას კაცს ძმას ყელს უჭრიდნენ, მეორე ადგილას ცოლ-შვილს სტაცებდნენ, მესამე ადგილს ჰირნახულს უოხრებდენ, იდგეს ეს კაცი ამოღებულის ხრმლით, ერთის ხელით მტერს იგერიებდეს — მეორეში კალამი ეჭიროს და გულ-დაწყნარებით სწეროს,— მაშინ ჩვენც მოგვეთხოვება, რომ ეხლა გვქონდეს წინაპართაგან დაშთენილი გონების მრავალი ნაწარმოებნი.

ქართველ მწერალს არ შეუძლიან სრული თავისი ღვაწლი, შრომა შესწიროს მხოლოდ ქართულ ლიტერატურას. ამაში იგი სრულიადაც არ არის დამნაშავე. ცხადია, რომ ყოველი გატაცებული მეცნიერი, რაც უნდა გენიოსი იყოს, ადვილად მიატოვებს თავის სამეცნიერო გამოძიებათა, კალამს, როდესაც მას კუჭი ომს გამოუცხადებს, როდესაც მას გარშამო შემოეხვევიან თავისი საკუთარი გოგო-ბიჭები და ერთ-ხმად შესძახებენ: მამავ, პური გვშიანო. ამ გვარად ქართველის მწერალის მდგომარეობა ვერ არის ჯეროვან ნიადაგზედ დამყარებული. სანამ ქართველ კაცს ქართულის ენის ცოდნა პურს არ აჭმევს, ვერც მწერალნი გაიმარჯვებენ სასურველად და დიდი უსამართლობაც იქნება ქართველ საზოგადოებას მოეთხოვოს უმეტესი მარჯვი ლიტერატურის წინ-მსვლელობაში, რომელსაც დღეს ჩვენა ვხედავთ.

რა გამოდის აქედამ? აქედამ ის გამოდის, რომ ქართული ლიტერატურის საქმე მიმდინარეობს იმ სახით, რა სახითაც კი შესაძლო არის; იგი ემორჩილება იმ გავლენას, რომელიც მოაქვს დროს, ისტორიას. ზოგიერთებს კი ჰგონიათ, რომ ჩვენი ეხლანდელი ლიტერატურის სიღარიბე აიხსნება იმითა, რომ ჩვენ, ქართველები, უნიჭონი, ზარმაცები ვართ. რა ადვილად სჭრიან და ჰკერავენ ეს ვაჟ-ბატონები! კაცს ყველა თავის მოქმედებაში სიფრთხილე სჭირს, ამაში ერთი ქართული ანდაზაც დაგვემოწმება, რაღა თქმა უნდა, რომ იმისთანა საქმეში, როგორიც არის მთელი რომელიმე ერის ხასიათზედ ანუ ღირსება-ნაკლულევანებაზედ ლაპარაკი და უკანასკნელის დაფასება, ეს სიფრთხილე უნდა გაორკეცდეს, რადგან აქ საჭიროა ბევრი ცოდნა და დიდი გონებრივი განვითარება. ამ ორიოდე დღის წინად ერთმა პირმა, რომელიც ერთ დროს ჩვენი საზოგადოების მოწინავე დასის მოწინავე პირად ითვლებოდა, კერძო ლაპარაკის დროს ჩვენს ეხლანდელს მდგომარეობაზედ აი რა მითხრა: «ჩვენ, ქართველებს, ცხოვრების ნიჭი არა გვაქვს, სულ ტყუილად ვედებით, ძმაო, ლობე-ყორეს, ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიანო.» როგორ გგონიათ, საფუძვლად რა მოიყვანა? აი რა: «ამ ორიოდე დღის წინად ერთ გლეხ კაცს უთხარი, წამოდი, ურემი წამოიღე, ერთ ადგილას მანეთ-ნახევრიან (დღეში) ქირას გიშოვნიო და იმან დათანხმების მაგივრად პასუხად მითხრა: არა მცალიან, სახლშიაც ბევრი საქმეაო.» რასაკვირველია, თუ იმ გვარი აზრის დასამტკიცებლად, რომელიც ჩემმა მოზაასემ წარმოსთქვა, ვიკმარებთ ამისთანა საფუძველს, მაშინ ვისაც ჰსურდეს, მე დავუმტკიცებ, რომ ერთი კვირის შემდეგ მთელი დედა-მიწის ზურგის მოსახლეობა სულ დედა-ბუდიანად მთვარეზედ გადასახლდება და ჩვენი დაობლებული პლანეტა სიმწუხარით შუაზედ გაირღვევა და ნუგეშის მოსაპოებლად მზისაკენ გაექანება. ჩემის ფიქრით, იმ გვარის აზრის ქადაგება, როგორისაც ჩემი მეგობარი არის, მავნებელია. საზოგადოდ ყველამ ვიცით, რომ სიმხდალით და უიმედობით საქმის კეთება ყოველთვის ნაყოფს ვერ გამოიღებს. კაი დაგვემართება, თქვენმა მზემ, ყველამ ვსთქვათ: უნიჭონი ვართ, არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიანო; დავსხდეთ, გულ-ხელი დავიკრიფოთ და ჭერში ბუზი ვთვალოთ. ჩვენის გონების სისუსტეს და უღონობას აწერენ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ჩვენში ბევრი სალიტერატურო ჟურნალი დაარსებულა და მალე ბოლო მოჰღებია, უნაყოფოდ ჩაუვლია. ამას ზოგი ჩვენს სიღარიბეს აბრალებს. ბევრს ამ ჟურნალების არსებობის მოსპობა ძლიერ აშინებს, უიმედოთა სტოვებს. ასე ამბობენ: იყო «მნათობი»—მოისპო, გვქონდა «საქართველოს მოამბე»—იმანაც ჩაილურის წყალი დალია, იყო «კრებული»—ისიც მორჩა, აგრეთვე მორჩნენ «ცისკარი,» ჟურნალი «ივერია,» «იმედი» და სხვ. მაშ რას ნიშნავს, გვკითხავენ ჩვენ, ეს სამწუხარო მოვლენა, თუ არ იმას, რომ ჩვენ «ცხოვრების ნიჭი» არა გვქონია? ჩვენის ფიქრით ეს მოვლენა არც ჩვენს «უნიჭობას» ნიშნავს, არც სიღარიბით აიხსნება და არც ისე საშიშარია, როგორც ჰგონიათ. ვეცდები განვმარტო.

## ბიბლიოგრაფიული ცნობა.

ჩვენ მივიღეთ ახლად-დაბეჭდილი მოსკოვში წიგნი შემდეგის სათაურით: «Абхазія и въ ней Ново-аѳонскій Симоно-Кананитскій Монастырь, съ планомъ абхазскаго приморскаго берега, съ 21-мъ рисункомъ памятниковъ христіанства въ Абхазіи и съ планомъ Ново-аѳонскаго монастыря», შედგენილი სამეცნიერო აკადემიის წევრის არხიმანდრიტის ლეონიდისაგან. აქ მხატრობით წარმოდგენილნი არიან: 1) წმ. მოციქულნი პეტრე და სვიმონ კანანელი ბიჭვინტის ეკლესიისა; 2) გაგრის ძველი ეკლესია; 3) ბიჭვინტა სამხრეთის მხრივ; 4) თვით ბიჭვინტის ტაძარი ცალკე, დიდის ტანისა; 5) ბიჭვინტის განგელი; 6) ძველი ტაძარი და ციხე-სიმაგრე ბზიბის მდინარეზე; 7) ტაძარი—სიონი აზნარის ხეობაში; 8) სოფელი ლიხნი ანუ სოუქ-სუ და სასახლე აფხაზეთის მთავრისა; 9) გაახლებული ტაძარი ნიკოფსიაში ანუ ანაკოფიაში სვიმონ კანანელისა, სადაც ეს უკანასკნელია დასაფლავებული; 10) ციხე-სიმაგრე ნიკოფსიის მთაზე; 11) ახლად ნაპოვნი ნიკოფსიის ციხეში ქვა ბერძნულის წარწერით X-ს საუკუნისა; 12) იქვე ნაპოვნი ქვა ბერძნულისავე წარწერით XI-ს საუკ. 13) ნაშთი კუმანის ეკლესიისა, სადაც დასაფლავებული იყო იოანე ოქროპირი; 14) სუხუმი უკანასკნელის ოსმალოს ომიანობის შემდეგ; 15) დრანდის მონასტერი; 16) ეკლესია ილორისა; 17) ეკლესია მოქვისა გაახლებული მ. შარვაშიძისაგან; 18) ბედიის ტაძარი ციხითურთ; 19) ქარტა აფხაზეთისა; 20) ახალ-ათონის სვიმონ კანანელის მონასტერი; 21) ნაშთი ტაძრისა ძველს აფხაზურს სოფელში ანუხაში; 22) საგუბარი პსირსტის მდინარეზე და 23) პლანი ახლად დაწყებულის მონასტრისა 140 სენაკითურთ. გარდა ამისა, წიგნი შეიცავს ისტორიულ ცნობებს აფხაზეთზედ და იმის მონასტრებზე.—ამ მონასტრების აღწერანი არიან ანუ გამოკრებილნი ბ. ბაქრაძის შრომიდამ: «Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства», ანუ ახლად შექნილი ავტორისა და იმის თანამოგზაურის მ. ინნოკენტისაგან. აქ ჩართულია აგრეთვე ზოგიერთი ცნობები აფხაზთა ზნე-ჩვეულებაზე და ვრცელი ისტორია თვით სვიმონ კანანელის მონასტრის დაარსებისა და აღორძინებისა.

ვისაც ჰსურს შეიგნოს ანუ ახლად დაფუძნებულის მონასტრის ისტორია და საგანი, ანუ საზოგადოდ წიგნის შინაარსი, იმას ვურჩევთ, თვით წიგნის მიჰმართოს: ჩვენ აქ ვერც ერთიზე, ვერც მეორეზე სიტყვას ვერ გავაგრძელებთ; მაგრამ საჭიროდ ვსცნობთ გადავცეთ მკითხველს შემდეგი ჩვენი აზრი წიგნზე.

ჩვენ ჯერ არ შეგვხვედრია რუსულ ენაზე შედგენილი ჩვენს მხარეზე წიგნი ასე ფაქიზად და ამ გვარის ხელოვნებით გამოცემული. მშვენიერია ყველა სურათები და პლანები. მხოლოდ ქარტა არ აკმაყოფილებს ტოპოგრაფიულს ხელოვნებას. ისტორიულ ცნობებში ვპოულობთ შეცდომებს, მაგრამ ამ შეცდომების შესწორებას კისრულობს სვიმონ კანანელის მონასტერი წიგნის მეორე გამოცემაში. რასაკვირველია, თვით ქარტაც უკეთესად ამოიჭრება და სურათების რიცხვიც იმატებს. აქ სხვათა ახლად შეძენილთა ცნობათა შორის მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ერთს ფრიად საინტერესო საგანზე. წიგნში ჩართულია მხატვრობა კუმანის ეკლესიის ნაშთისა სოფლის გუმის მახლობლად, გუმისტის ნაკადულზე გუმაზე; აქ წიგნის ცნობით დამარხული იყო 404 წელს იოანე ოქროპირის გვამი 33 წლის განმავლობაში, ვიდრე ამ გვამს კონსტანტინეპოლში წაასვენებდნენ. ეს ცნობა სრულებით ახალია. აქამომდე ის აზრი იყო, რომ იოანე ოქროპირი, განდევნილი ბიჭვინტაში, მიიცვალა მცირე-აზიის კომანში; მაგრამ ერთმა ბერძნის არქეოლოგმა კრისსისმა პატრიარქის ფოტის ჩვენებით და ადგილის გამოკვლევით ადგილობრივ დაუმტკიცა სვიმონ კანანელის მონასტრის მამათა, რომ სამარხი ადგილი ოქროპირისა იყო არა აქამომდე ცნობილი კომანი ანუ კომონა, არამედ კუმანი აფხაზეთისა გუმისტაზე. (ნახე «Абхазія» გვ. 57—60). ახლა აქ მონასტერი აპირებს ძველის ტაძრის გაახლებას, ანუ ახალი აშენებას.

~~~

**ქაჯანა.** (ბ-ნ ლომაურის მოთხრობა). ჩვენ ხელთა გვაქვს პატარა, ცალკე წიგნად გამოცემული ბ. ლომაურის მოთხრობა «ქაჯანა». თუ მეხსიერება არ მტყუნობს, მგონი, წინადაც რომელღაც ჟურნალში წამიკითხავს ეს მოთხრობა, მაგრამ ახლაც კიდევ სიამოვნებით გადავიკითხე.—მართლაც და ვის გულს არ მიიტაცებს ეს მიმზიდველი, მომხიბლავი და პოეტიურის ნიჭით აღბეჭდილი ქაჯანას სურათი; ვის არ თანა-უგრძნობს ქაჯანას თავ-გადასავალს. რამდენი ამისთანა ნიჭიერი ბავშვი ეკარგება სამუდამოდ სამშობლოს და იღუპება იმ გონების ჯურღმულში, რომელიც ბევრნი არიან საქართველოში? დააკვირდით კარგად ქაჯანას ავად-გახდომას და იმის მორჩენას. რა იყო ქაჯანას დამუნჯების მიზეზი? ის უმეცარი და მავნებელი ჩვეულება, რომელიც ჩვენ ქართველებში ერთობ გავრცელებულია და, მგონი ბევრს ჩვენში ყმაწვილობაში თავის-თავზე გამოუცდია. ვის არ აჰბურძგვნია თავზედ თმა, როდესაც რომელიმე ბრიყვი ჩუმად მოგეპარებოდა და ან თავზე დაგკივლებდა, ან ყურში ჩაგყვიროდა; ვის არ გადაგბრუნებიათ გული და არ გცვლიათ ფერი, როდესაც ბნელა ოთახში სუდარა წამოსხმული ან ტყავ-ქურქ-წამოსხმული ერთბაშად განცხადებისავით მოგელანდებოდათ. აი სწორედ ეს უდიერი და რეგვენური ჩვეულება იყო «ქაჯანას» დამუნჯების მიზეზიც.

რომელ ბავშვს არ აუფანცქალდება გული და ტანში ჟრუანტელი არ გაუვლის, როცა ამ «ქაჯანას» უბედურ თავ-გადასავალს წაიკითხავს? რა გულ-მოწყვეტილი და მოუთმენარი აღგზნებით მისდევენ ყურს «ქაჯანას» ბედის წერას! როგორ სიხარულით აუფართხალდება პაწია გული, როცა ბოლომდინ ჩაიკითხავს მოთხრობას და შეიტყობს, რომ «ქაჯანა» ისევ გადურჩა მუნჯობას.

რა იყო «ქაჯანას მორჩენის მიზეზი? ისევ ის შიშინება, რომლის გამოც ავად გახდა. რა ფსიხოლოგიური სინამდვილეა და სიმართლე ამ უბრალო გარემოებაში! ამაზე უკეთესს ვერას მოიგონებდა ავტორი მოთხრობის თავისა და ბოლოს გადასაბმელად!

მხოლოდ ერთს კი შევნიშნავთ, რომ უმჯობესი იქნებოდა, ეს ორი გარემოება—ქაჯანას ავად-გახდომა და მისი მორჩენა არ აეჭრელებინა ავტორს სხვა-და სხვა გარემოებითა. საქმე იმშია, რომ უბრალო, გაუნათლებელი მკითხველი იმ ფსიხოლოგიურ დამოკიდებულებას, რომელიც მე ზემოდ ვუჩვენე, ვერ შეამჩნევს და უფრო მკითხავის მანქანებას და ხატების ძალას მიაწერს ქაჯანას მორჩენას. ეს კი სრულებით სასურველი არ არის: უამისოდაც ჩვენში ბევრს ვნებას აძლევს მკითხავებთან და ხატებში ტანტალი.

ბოლოს ამ წიგნს დართული აქვს ხუთი-ოდე ლექსი იმავე ავტორისა, ბ. ლომაურისა. ამ ლექსებზე პირ-და-პირ ვიტყვით, რომ უკეთესი იქნებოდა, ეს მშვენიერი ცოცხალი მოთხრობა არ დაემახინჯებინა ამ უგემური ლექსებით. ყმაწვილებისთვის გაუგებარნი არიან და დიდს კი ესენი გრძნობას ვერ გაუღვიძებენ. რაც შეეხება ლექსების შინაარსს, მათ აზრს, ეს ისევ ის ძველი, დაშმორებული, ფეხ-ქვეშ გათელილი, რამდენ-ჯერმე გადაღეჭილი და უსაგნო ჭანგება გლეხების სიღარიბეზე და უმეცრებაზე, რომელმაც კარგა ხანია ყველას თავი მოაბეზრა და ყბილი მოსჭრა. ჩემის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, ბ. ლომაურს ლექსებისთვის სრულებით თავი დაენებებინოს და ბევრი ამისთანა მოთხრობა ეჩუქებინოს ჩვენთვის, როგორც ქაჯანაა.

~~~

**საახალწლო.** (ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობანი) ეკ. გაბაშვილისა კარგა ხანია მოღვაწეობს ჩვენს ლიტერატურაში და ცნობილია, როგორც კარგად დახელოვნებული მწერალი ქალი. გაზეთის ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში არც ადგილი მაძლევს ნებას და არც სახეში მაქვს გავარჩიო ყოველი ბ-ნის გაბაშვილის ნაწარმოები. აქ მხოლოდ ორიოდე სიტყვის თქმა მინდა იმ პატარა წიგნში მოქცეულ მოთხრობათა შესახებ, რომელნიც ამ ბოლოს დროს დაბეჭდილნი არიან.

ეს მოთხრობანი, როგორც თვითონ სათაურიდამა სჩანს, ყმაწვილების საკითხავად არიან დანიშნულნი. ენა სადა და მარტივია; მოთხრობების შინაარსი, მგონი, საინტერესო უნდა იყოს ყმაწვილებისთვის, თუმცა აქ ვერ შეჰხვდებით იმისთანა ცხოველ და ძლიერ სურათებს, რომ მათი პაწია გული უნებურად მიიზიდოს, აფანცქალოს და მთელი მათი არსება აღტაცებაში მოიყვანოს.

ავტორის კალამი თითქო უღონოა და ცქრიალობა აკლია. მოთხრობანი თითქო განგებ და ძალდატანებით შეთხზულნი არიან, და არა ზეგარდამო შთაგონებით წყაროსავით მოწანწკარენი.

ერთ კიდევ დიდ ნაკლულევანებას ვამჩნევ ბ-ნის გაბაშვილის მოთხრობებს: ამათ ისეთი დიდაქტიური კილო აქვთ, თითქო მოძღვრობს და ქადაგობსო. თითქმის პირველსავე სტრიქონებიდგანვე მიჰხვდებით, რომ ავტორს ამა და ამ აზრის, დარიგების, სენტენციის გამოთქმა უნდა. მართლაც და ჩაიკითხავთ თუ არა ბოლომდის, ჰრწმუნდებით, რომ თქვენი აზრი შეცდომილი არ იყო. აი თუ გინდ ავიღოთ პირველი ამ საახალწლო წიგნში დაბეჭდილი მოთხრობა: «საახალწლო ფეშქაში». იწყობთ კითხვას და მაშინვე თვალებში გეცემათ რაღაც მოძღვრებული დარიგება. ათავებთ კითხვას და აი რა სენტენციას სცნობილობთ მოთხრობიდამ: მხიარულებაში და ბედნიერებაშიაც ნუ დაივიწყებ უბედურს და ბედით დაჩაგრულს, სწორედ როგორც სახარებაშია: «შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი».

ბ.-ნის გაბაშვილის მოთხრობები მაგონებენ ნემეცების სენტენციურ საყმაწვილო მოთხრობებს. ამავე გზას ადგა რუსეთის საყმაწვილო პედაგოგიურ ლიტერატურაში კარგად ცნობილი, აწ გარდაცვალებული, ნაყოფიერი მწერალი ჩისტიაკოვი, რომელმაც ასამდე მეტი მოთხრობა დასწერა ყმაწვილებისათვის ამ სათაურით: «Нравственныя повѣсти и расказы». ჩემის საკუთარის გამოცდილებიდამ ბეჯითად ვიცი, რომ ამ გვარს მოთხრობებს დიდი ზედგავლენა არა აქვთ ყმაწვილების სულსა და გულზე და ამიტომ ხალისიანადაც არ კითხულობენ.

**მეხის ამბავი** (რუსულიდგან ნათარგმნი შარაშიძის მიერ.)

სამეცნიერო ლიტერატურა ქართულს ენაზედ ძალიან ნაკლებად არის მეცნიერების პაწაწა, თვალთ უჩინარი კვირტები ჩვენში ძლივ-ძლივ ნასკვს იკეთებენ. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ მეცნიერება ერთად-ერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლიან ჩვენის ცხოვრების განკარგება და აღმატება, წინმსვლელობის გზის ჩვენება და ჩვენი კეთილდღეობის მაგარ ნიადაგზე დადგენა. მაგრამ მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურაზე ვინ ფიქრობს, როდესაც პირველ დაწყებითი სახელმძღვანელონიც კი ასეთის უსაჭიროესის საგნებისა, როგორც ფიზიკა, ქიმია, ფიზიოლოგია, აგრონომია და სხვ.. არ გვაქვს. ბუნების მდიდარი მეტყველება შვიდის ბეჭდით არის ჩვენთვის დაბეჭდილი. დიდს მადლობას დაიმსახურებს მამულის წინაშე,

---

მე ვიამარებ ცოტაოდენ სიმამაცეს და ვიწინასწარმეტყველებ, რომ ჩამოთვლილ ჟურნალებს გარდა ჩვენში კიდევ ბევრი ჟურნალი დაარსდება, მაგრამ ბოლოს ვერ გაადევნებენ, მალე მოესპობათ სიცოცხლე. ვიმეორებ, აქ საშიში არა არას რა, არც იმედი უნდა გადავიწყვიტოთ. განა რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვაგან, სანამ დაარსდებოდნენ ის ჟუნალები, რომლებიც დღეს მკვიდრ საფუძველზედ დგანან, არ ყოფილან ბევრი სხვა ჟურნალები, რომელთაც ჩვენის ჟურნალების დღე დასდგომიათ? ნუ თუ მაშინ მართალნი იქმნებოდნენ რუსები, ფრანცუზები და სხვ., რომ ეთქვათ, აი ეს ჟურნალი მოგვესპო, ეს მოგვესპო, მაშასადამე კეთილი იმედი აღარ უნდა გვქონდეს, ცხადია, ძლიერ შესცდებოდნენ. რასაკვირველია, ჩვენი და რუსების შედარება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ მე იმის საჩვენებელად მოგახსენებთ, რომ ორიოდ სამი ჟურნალის მოსპობა მაგდონს არას მოასწავებს და არც საშიშია. პირიქით ის მოვლენა, რომ ერთი ჟურნალი ისპობა,—მეორე არსდება, მეორე ისპობა—მესამე არსდება და სხვა ამ გვარად, იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ერს არა სძინავს, რომ მას თვალები უხელია, რომ ხალხში ჭეშმარიტი მოთხოვნილებაა ლიტერატურის დაარსებისა და, მაშასადამე, ამგვარი მოვლენა ერთის მხრივ უნდა ჩვენში იმედს ჰბადავდეს რომ ქართული ლიტერატურა არ მოისპობა. უნდა გვახარებდეს.

არც სიღარიბეა მიზეზი ჩვენის ჟურნალების მოსპობისა. გამოეცით ისეთი ჟურნალი ანუ გაზეთი, რომელიც სრულად შეჰფეროდეს დროსა და ადგილს, რომელიც ზნეობრივ წამალს ადებდეს ერის ნამდვილს საჭიროებას, რომელიც სრულიად აკმაყოფილებდეს მის სულიერ მოთხოვნილებას და მაშინ თვითონ ეს ჟურნალი ანუ გაზეთი მოიპოვებს ქონებრივს შეძლებას. განა ეხლა არ შეიძლება ისეთი ჟურნალი ანუ გაზეთი გამოიცეს?—შეიძლება. მაშ რატომ არ გამოსცემენ, განა მწერალნი არ მოიპოვებიან?—მოიპოვებიან. მაშ რატომ არა სწერავენ? როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ყოველი ადამიანი, ჯერ პირველად იმისთანა საქმეს ჰკიდებს ხელს, რომელიც აკმაყოფილებს მის საკუთარს არსებობას, რომელიც მას ჰკვებავს, ანუ, როგორც მეცნიერულს ენაზე ამბობენ, იგი იბრძვის არსებისათვის და შემდეგ სხვა საქმეს ეჰიდება. რომ ყველა ქართველმა მწერალმა იცხოვროს განსაკუთრებით ლიტერატურულის შრომით, დღეს ეს შეუძლებელია. იგი იძულებულია მომატებული ნაწილი თავის დროისა და შრომისა ლუკმა-პურის შოვნას მოანდომოს და მხოლოდ ცოტა რამ—ქართულ ლიტერატურას. ეს ასე აქმნება იქამდის, სანამ ქართულ ენას ეჭირება ჩვენს ცხოვრებაში არა უკანასკნელი ადგილი. მაშასადამე, მიზეზი სხვა აქ არის და არა ის, რომელიც ზოგიერთა ჩვენ ვაჟ-ბატონებსა ჰგონიათ.

ერთი კიდევ ეს დაუჟინებიათ, როგორც ზემოთაც უკვე მოვიხსენიეთ: რა საქციელია ქართულ ლიტერატურის საკითხავად დრო დავკარგო, როდესაც იგი ისე ღარიბია, რომ არ შეუძლიან მომცეს საკმაო საზრდო გონების განსავითარებლად; ის არ მირჩევნია, ისეთი ლიტერატურა შევისწავლო, თუნდა უცხო ენისა იყოს, რომელიც ამ მხრივ დამაკმაყოფილებს? მე ამაში დაგერწმუნებით, რომ ქართულ ლიტერატურას დღეს არ შეუძლიან მოგვცეს განსავითარებლად საკმაო მასალა. მე ამასაც გეტყვით, რომ ყოველმა ჩვენგანმა არამც-თუ უნდა იკმაროს მარტო ერთი ქართული ლიტერატურა, რაც უნდა მდიდარი იყოს, არამედ აუცილებლად საჭიროა და ყოვლად სასარგებლო იქმნება, რომ თუ კი შევიძლებთ, შევისწავლოთ ორმოც-და-ათი ათასი სხვა-და-სხვა ერის ლიტერატურანი. მაგრამ ერთი ეს მითხარით: განა ყოველი ჩვენთაგანი სულელსა და უგუნურს არ დაუძახებს იმისთანა მშობელს, რომელიც თავის შვიდის წლის ბავშვს გადააგდებს იმ საფუძველით, რომ იგი სუსტია, რომ მას იმდონი არ შეუძლიან, რამდონიც ოც-და-ათის წლისას, რომ მას სახლში არა შემოაქვს რა? ამავე სახელით უნდა მოინათლოს იმისთანა პირი, რომელიც უარ-ჰყოფს და სტოვებს თავის სამშობლო ლიტერატურას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დღეს ღარიბია სხვებთან შედარებით.

საზოგადო აზრი ამოდენა ეპისტოლესი ის არის, რომ ქართველი საზოგადოება სრულიად განსაკიცხი არ არის იმაში რომ დღეს მას ღარიბი ლიტერატურა აქვს; რომ ეს ლიტერატურის სიღარიბე იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გონებრივად დაცემულნი ვართ, რომ ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიან; რომ ქართული ლიტერატურა, არამც-თუ არა სდგას ერთს წერტილზედ, არამედ თვალ-საჩინო წინ-მსვლელობა ეტყობა, რაშიაც გვარწმუნებს ის შესამჩნევი გარემოება, რომ დღითი-დღე გეომეტრიულის პროგრესიით მრავლდება ქართულის წიგნების რიცხვი.

ალ. მირიანაშვილი.

ვინც ამ ბეჭდებს აჴსნის და ბუნებას ჩვენთან აუხსნებს.

ამიტომ დიდი მადლობის ღირსია ბ.-ნი შარაშიძე, რომელსაც გადმოუთარგმნია ბ. ყივოტოვსკის ბროშიურა: «მეხის ამბავი.» ბ.-ნი ყივოტოვსკი განთქმულია რუსეთში, როგორც წარჩინებული პედაგოგი-პოპულიარიზატორი. ერთი უკეთესი და დაულალავი წევრია იმ საზოგადოებისა (Педагогическое Общество Военнаго Вѣдомства при Соляномъ городкѣ), რომელსაც დიდი ღვაწლი და სამსახური მიუძღვის რუსეთის პედაგოგიის წინაშე.

ბ.-ნი ყივოტოვსკი მეხის ამბავს იწყობს ძველი დროებიდგან, როდესაც ბერძნებმა პირველად გაიგეს ქარვის მიმზიდველობითი ძალი, აუწყებს მკითხველს ფრანკლინის საინტერესო ნაცადს, მოუთხრობს შემდეგ იმ სწავლულებზე, რომელნიც წარსულში თუ ახლა ამ ფრიად შესანიშნავ ძალის გამოკვლევას და შესწავლას ადგნენ და ადგანან; ათავებს ავტორი ბროშიურას იმით, თუ რა პრაქტიკული სარგებლობა მოაქვს კაცობრიობისთვის ელექტრონობას. რვეული როგორც რუსულში, ისე ქართულში სურათებით არის შემკული. ყველაზედ უკეთესად მოსწონია ის სურათი, რომელიც რახმანის საზარელს სიკვდილს წარმოადგენს. ეს უბედური მეცნიერი ცნობის მოყვარეობის მსხვერპლად შეიწირა.

თვითონ თარგმანზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ენა ბევრს ადგილას ბორძიკობს; აზრის გამოსატვას, წინადადებათა დაწყობილებას და მისვრა-მოსვრას ერთობ სიცოცხლე აკლიათ. ეს უკანასკნელი გარემოება ყოველთვის სახეში უნდა იქონიოს, ვისაც რომლისამე საკითხავის წიგნის შედგენა ან გადმოთარგმნა უნდა.

ბ-ნს შარაშიძეს რუსული სიტყვისთვის: «бумажный змѣй» საპრიალებელი ფარანი დაურქმევია ქართულად. არ ვიცი, რათ მოსდომია ბ-ნ შარ. ასე რთული და გაპტყელებული სიტყვა, როდესაც ქართულად ადვილი და მარტივი სიტყვაა:— ფარანი. თუნუქის მაგიერ—თანაქას ხმარობს; მგონია, ესეც შეცდომაა.

მართალია ამისთანა შემთხვევაში კაცი ძალიანაც არ უნდა გამოეკიდოს ავტორს, რადგანაც სამეცნიერო ენა და ერთობ ტერმინოლოგია ჯერ ჩვენში დადგენილი და გამოკვლეული არ არის.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ **1886** წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძ ვ ე ლ ი ი ნ დ ი ქ ტ ი ო ნ ი მე-14,
ა მ ი ს ი ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ა ხ ა ლ ი ი ნ დ ი ქ ტ ი ო ნ ი მე-4.
ა მ ი ს ი ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყ ვ ე ლ ი ე რ ი მოდის 16 ფებერვალს, დ ი დ - მ ა რ ხ ვ ა — 23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ა მ ა ღ ლ ე ბ ა — 22 მაისს, ს უ ლ ი ს - წ მ ი დ ი ს მ ო ს ვ ლ ა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პ ე ტ რ ე - პ ა ვ ლ ო ბ ი ს მ ა რ ხ ვ ა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

**იანვარი** 31 დღით არის.

8 დღე ო თ ხ შ ა ბ ა თ ი. ღირსისა გიორგი ხოზივიტელისა, წმ. აბო სპარსისა, წამებულ იქმნა ტფილისს 790 წ. მეტეხის ახლოს, ავლაბრის ხიდის ყურთან, სადაც ეხლა ნიშია.

აბოს გვამი დამარხულია ქართლში სოფ. არბოს ეკლესიაში; სომეხთა: მე-3 დღე შობისა და ნათლის-ღების შემდეგ. სალამოზედ ნახატონაკია. კათოლიკეთა: აბატის სევერინისა და ფელიქსისა. მაჰმადიანთა: მე-15 დღე რები-ულ-ახირის თვისა, 1303 ჰიჯრისა.

მიიცვალა ქართლის მეფე თეიმურაზ ქ. ასტრახანს. ერეკლე II გამეფდა ქართლსა და კახეთში 1762 წ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11—19. ტფილისში მზე ამოდის 7—22; ჩადის 4—59. მთვარე ამოდის 6—48; ჩადის 7—23. მთვარე 16 დღისაა. 10 საათ. 44 წ. დ. ტფილისში იწყება გავსება მთვარისა.

9 დღე ხ უ თ შ ა ბ ა თ ი, წმ. მოწ. პოლიევკტოსი. კათოლ. მარციანისა და სალვიუსი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11—36 ტფილისში მზე ამოდის 7—22; ჩადის 5—1; მთვარე ამოდის 7—59 ღამ., ჩადის 8—5

10 დღე პ ა რ ა ს კ ე ვ ი. წმ. გრიგოლ ნოსელისა. კათოლ. ამატონისა და ევ. ვილჰელმისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—22; ჩადის 5—2. მთვარე ამოდის 9—10 ღამ., ჩადის 8—44.

11 დღე შ ა ბ ა თ ი. ღღეობა თეოდოსე დიდისა. კათოლ. გიგინისა და მონორატისა.

გარდაიცვალა მეფე ქართლისა ერეკლე 1789 წ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12—8. ტფილისში მზე ამოდის 7—21; ჩადის 5—3. მთვარე ამოდის 10—19 ღ., ჩადის 9—23.

12 დღე კ ვ ი რ ა, წმ. ქალწულ-მოწამისა ტატიანასი. კათოლ. არკადისა და ლუკრეციისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12—22. ტფილისში მზე ამოდის 7—20; ჩადის 5—5. მთვარე ამოდის 11—24 ღ., ჩადის 9—59.

13 დღე ო რ შ ა ბ ა თ ი, წმ. მოწ. ერმილე, სტრატონიკე. სომეხთა: სახელწოდება, წინადაცვეთა უფლისა. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12—36. ტფილისში მზე ამოდის 7—19; ჩადის 5—6. მთვარე ამოდის 11—24; ჩადის 10—34.

## გამოსადეგი ცნობანი.
### მ ა ზ ა ნ დ ა.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ. . . . 5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა. $2^1/_4$ „
„ „ 2 „ 2 „
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში
1-ლის ხარისხისა . . . $4^1/_2$ „
მე-2 ხარისხისა . . . $3^1/_2$ „
მე-3 — . . . 3 „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა . 8 „
2 — . . . 7 „
ჩალალაჯი და ცალკე ამოჭრილი
სუკი . . . . 14 „
ცხვრის ხორცი . . . . 7 „
ღორის ხორცი 4-ლის ხარისხ. . 5 „
2-ის ხარისხ. . . 4 „

## გამოსადეგი ცნობანი.
### მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. „ — „ დ.

### ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

### მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:
#### ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. სალამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით სალამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

## განცხადებანი

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების წევრთა** გამოეცხადებათ ამით, რომელ წესდების მე-13 და მე-17 მუხლების საფუძველზედ იქნება უჩვეულო საზოგადო ყრილობა დრამატიულის საზოგადოებისა ამა იანვრის 12 რიცხვსა, კვირას, 12 საათზე არწრუნისეულ თეატრის დარბაზში. ამისთვის მოიწვევიანწევრნი საზოგადოებისა.

თავმჯდომარე ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა თ. რაფ. ერისთავი.

(6—4)

**ბ. ლიაძის**
**მოსამზადებელი სასწავლებელი**
პანსიონითურთ.
კუკია, ანდრეევის ქუჩა № 13.
10—4)

**გრ. ჩარკვიანის**
ქართული წიგნის მაღაზიაში
ი ს ყ ი დ ე ბ ა
**ყოველგვარი ქართული წიგნები**
ტფილისს: ლოლის - მელიქოვის ქუჩაზედ ზუბალოვის სახლებში გარეშე პირთათვის ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ Григорія Чарквіани. 3—3

# სტამბა
## ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფებოდა ლოჲის-მელიქოვის ქუჩაზე, ქვაშვეთის ეკლესიის შენობაში, გადავიდა საპერნის ქუჩაზე, მთავარ-მმართებლის თანაშემწის სახლის გვერდზედ ალექსანდროვის ბაღთან, თავის საკუთარს სახლებში, № 4.

Iღებს ყოველ-გვარს საბეჭდავს საქმეებს სხვა და სხვა ენებზედ. ფასი ზომიერი; შეკვეთილი საქმე სუფთად და ვადაზედ ჰბარდება შემკვეთელს. ქალაქ გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ამ ადრესით მომმართონ: *Тифлисъ, Типографію Еф. Ив. Хеладзе на Саперной улицѣ въ собственномъ домѣ.*

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1886 ГОДЪ
**на иллюстрированный армянскій журналъ**

# „АГБЮРЪ“

**(4-й годъ изданія)**

(въ годъ 12 номеровъ)

## ПРОГРАММА
### Отдѣлъ 1-й

I Повѣсти, разсказы, сказки путешествія, біографіи, поэмы, эпизоды.
II Стихотворенія.
III Наука и искусство.
IV Смѣсь.
VI Дѣтскія, педагогическія, шахматныя и другія игры, ребусы, математическія задачи, анекдоты, загадки, поговорки, пословицы.
VII Пѣсни съ нотами,

### Отдѣлъ 2-й

VIII Статьи, касающіяся воспитанія и обученія дѣтей.
IX Проэкты и совѣты.
X Библіографія.
XI Смѣсь.
XIII Отвѣты и объявленія.

Второй отдѣлъ будетъ издаваться отдѣльно въ годъ четыре раза. Годовые подписчики получаютъ двѣ преміи: въ іюлѣ и декабрѣ.

Первая премія: **Совѣщательная палата:** въ столицѣ Ани при царяхъ Армянскихъ изъ династіи Багратуни. Размѣръ картины одинъ аршинъ. Вторая премія: **Карта Арменіи.** Третья премія: развалины **«Храма пастуха»** въ столицѣ Ани. Размѣръ картины полтора аршина.

Годовая цѣна «Агбюра» 3 рубля, за полгода 2 рубля. Отдѣльные номера 50 коп.

Адресъ: Тифлисъ. Въ Редакцію журнала «Агбюръ».

въ городѣ карсѣ.
ВЪ КАНЦЕЛЯРІИ ВОЕННАГО ГУБЕРНАТОРА
Карсской Области
**ОТКРЫТА ПОДПИСКА**
**НА ГАЗЕТУ**

# „КАРСЪ“

на будущій 1886 годъ

газета «КАРСЪ» въ 1886 году будетъ издаваться на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году. по тойже программѣ и подъ тою-же редакціею.

условія подписки

*съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, въ четыре мѣсяца одинъ рубль.*

Подписка принимается въ Канцеляріи Военнаго Губернатора, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета «КАРСЪ» имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству. Цѣль эта можетъ быть достигнута въ той мѣрѣ, въ какой лица, имѣющія, по своему положенію, возможность собирать свѣдѣнія по тѣмъ или другимъ вопросамъ, касающимся Области, ея населенія и расположенныхъ въ ея предѣлахъ частей войскъ, выразятъ свое сочувствіе газетѣ и пожелаютъ оказать ея редакціи просвѣщенное свое содѣйствіе сообщеніемъ имѣющихся въ рукахъ свѣдѣній и матеріаловъ, а потому редакція убѣдительно проситъ этихъ лицъ не отказать ей въ своемъ участіи.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА**
**на 1886 годъ**

на армянскую ежедневную, политико-литературную газету

# „НОРЪ-ДАРЪ“.

**(III годъ изданія)**

Газета въ 1886 году будетъ выходить по прежней программѣ.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:**

Съ доставкою и пересылкою на годъ 10 р., на шесть мѣсяцевъ 6 р., на 3 мѣсяца 3 р. 50 коп., на 1 мѣсяцъ —1 р. 50 коп.

Подписка принимается съ 1-го числа каждаго мѣсяца.

Подписка и объявленія (по 2 коп. за слово на всѣхъ языкахъ и съ переводомъ на армянскій) принимаются исключительно въ конторѣ редакціи «НОРЪ-ДАРЪ».

Редакція «Норъ-Даръ» помѣщается за почтою, на Тройцкой улицѣ, противъ Тройцкой церкви, № 10.

Иногородные адресуются: Тифлисъ. Редакція «Норъ-Даръ».

Редакторъ издатель С. Спандарянцъ.

(5—5)

Дозволено цензурою Тифлисъ 9 января, 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა საპერნის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.